კონტეინერიდან მოხსნილი სეპარაციის/ლითონის ბაგირების/პოლიპროპილენის თოკების გაყიდვა და გატანა ნავსადგურის სარეჯიმო /საკონტეინერო ტერიტორიიდან

(პროცესის აღწერა)

№		
1	პროცესის აღწერა	კონტრაქტორის მიერ სეპარაციული ხის დეტალების, წიწვოვანი ჯიშის ხის ძელების, ლითონის ბაგირების და პოლიპროპილენის თოკების გატანა საქართველოს კანონმდებლობის, ნავსადგურის შინაგანაწესის და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.
2	პროცედურული დეტალები/მხარეთა ვალდებულებები	• ოპერაციების დეპარტამენტის მიერ კონტრაქტორს მიეწოდება ინფორმაცია სეპარაციული ხის დეტალების,წიწვოვანი ჯიშის ძელების , ლითონის ბაგირების და პოლიპროპილენის თოკების მოცულობის /ადგილმდებარეობის შესახებ, რის საფუძველზეც კონტრაქტორი ვალდებულია უზრუნველყოს სათანადო რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებების მობილიზება 24 საათის ინტერვალში. ასევე მძღოლების და ავტომანქანების მონაცემები დროულად უნდა მიეწოდოს მუდმივი განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლებს, რათა შესაბამისი დოკუმენტაცია მომზადდეს გონივრულ ვადებში. • კონტრაქტორი ოპერაციების დეპარტამენტის უფლებამოსილ პირთან, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენელსა და სურვეირთან ერთად ესწრება დატვირთვის/აწონვის პროცესს. • სეპარაციული ხის დეტალების/წიწვოვანი ჯიშის ძელების აწონვა/დატვირთვა ხდება გატანამდე ერთი დღით ადრე, საღამოს ცვლაში, ხოლო ლითონის ბაგირების და პოლიპროპილენის თოკებისა კი გატანის დღეს, დღის ცვლაში. • სეპარაციული ხის დეტალების, წიწვოვანი ჯიშის ძელების , ლითონის ბაგირების და პოლიპროპილენის თოკების გატანის დღეს სურვეირის მიერ მოწოდებული აქტის საფუძველზე მუდმივი განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელი შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებისთანავე იწყებს განბაჟების პროცესს. პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგმ კონტრაქტორს გადაეცემა დეკლარაციის ერთი ეგზემპლარი, რის საფუძველზეც უფლება ეძლევა გაიტანოს კუთვნილი სეპარაცია, ლითონის ბაგირები და პოლიპროპილენის თოკები. მონაცემები მანქანების გასვლამდე აისახება ასევე შემოსავლების სამსახურის ონლაინ პლათფორმაზე (rs.ge) • სეპარაციული ხის დეტალებისა და ძელების დასამაგრებელი დამჭიმი ღვედებისა და რკინის კონსტრუქციების მოწოდება უზრუნველყოფილია ნავსადგურის მიერ. კონტრაქტორი ვალდებულია 3 კალენდარული დღის ვადაში დააბრუნოს ზემოთხსენებული სამაგრი საშუალებები.

Classification: Internal